ახალი განთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც ცამშობლოსათვის უძგერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

2023 წელი 30 მაისი №5 (8192) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

„შენს ცეკვა ჩემი ჯილოლოს, ცეცეკვილოს, გულზე ვხლოს ცეკვა და ლომერთზე ზემოთ ჩემი ცეკვა, ჩემი მცეკვავილო, ლაჟოლეკვილო ცამშობლოვ ჩემო!„

თეზში კვირაცხოვლობას

დიახ, აქაურებმა აპრილში პირველებმა გახსნეს წლევანდელი საჭიდაო სეზონი და ადგილობრივი შესაძლებლობების ფარგლებში მშვენიერი სასპორტო სანახაობა მოაწყეს, მისი მხილველიც სიამოვნებით გახდა უამრავი თეზელი და სოფლის სტუმარი, მით უმეტეს, იმ დღეს ქსნისპირელები "კვირაცხოვლობის" სახალხოსაეკლესიო დღეობას აღნიშნავდნენ. კარგ საქმეს უთავკაცეს ადგილობრივმა ახალგაზრდებმა, საერთო ორგანიზება კი გასწია ორმა ვეტერანმა მოჭიდავემ – კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების ჭიდაობის მენეჯერმა ალექსანდრე ხუციშვილმა, რომელიც ახალგაზრდობაში ფიზკულტურისა და სპორტის მეთოდისტად მუშაობდა ოკამ-თეზში, და, ასევე, თეზელმა ბიზნესმენმა გოჩა შერმადინმა, რომელიც მშობლიურ სოფელში ძველდროების სპორტულ ტრადიციათა გაცოცხლების მოთავეა.

თეზელების სასეზონო პირველობა, თავისთავად,

დასასრული გვ 8.

ოფიციალური ქრონიკა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი გაიხსნა

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა სოფელ ზემო ხანდაკში ახლად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი გახსნეს.

გახსნის ღონისძიებას რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი, მერის პირველი მოადგილე დავით ქისიშვილი, კასპის საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და აღსაზრდელების მშობლები დაესწრნენ.

პროექტის ფარგლებში შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მოეწყო ეზო და დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები.

საბავშვო ბაღი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

- სოფელ ზემო ხანდაკში განახლებული, ახალი ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვილი საბავშვო ბაღი გავხსენით.

შენობის გარდა მოეწყო ეზო, დამონტაჟდა ბავშვთა გასართობი საშუალებები. ამ ეტაპზე 65 ბავშვია რეგისტრირებული და იმედი მაქვს, რომ კონტინგენტი კიდევ უფრო გაიზრდება, – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა, რომლის ბიუჯეტი 751 662 ლარს შეადგენს.

18 მაისი ეროვნული ცამოსის დღეა

კასპის მუნიციპალიტეტში ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა.

კოსტიუმირებული მსვლელობა ამჯერად სოფელ ნოსტეში, ქართლის დიდი მოურავის კოშკის მიმდებარედ გაიმართა.

მსვლელობაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლები და მამაკაცთა ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი".

ეროვნული სამოსის დღე 2016 წელს დაწესდა, რომლის მიზანი ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ქვეყნის საზღვრებსგარეთ გატანაა.

18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტში მოქმედ მუზეუმებში ღონისძიებები გაიმართა.

კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საგაზაფხულო გამოფენა გაიხსნა. გამოფინა ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვრების: ელენე ბარნოვის, მარიამ ნონიაშვილის, დადუნა ჯავახიშვილისა და ანა ბერიანიძის ნამუშევრები.

სასირეთის გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმში გენერლის საოჯახო ალბომიდან ფოტოსურათების გამოფენა მოეწყო. ასევე, გამოიფინა სასირეთის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის მარიამ დავითაშვილის ნამუშევრები და ადგილობრივი მოსახლეობის ხელნაკეთი ნივთები.

მუზეუმების საერთაშორისო დღე 1977 წლის 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს მიერ დაფუძნდა და მსოფლიო მასშტაბით აღინიშნება.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ მუზეუმების თანამშრომლებს მიულოცა პროფესიული დღე.

ფაშიზმზე გამარჯვების 78 -ე წლისთავი

ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში, თადარიგის პოლკოვნიკმა ლავრენტი ბაიდაურმა, ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს. ისინი 1941-1945 წლების აღმნიშვნელ მემორიალთან შეიკრიბნენ და გვირგვინით შეამკეს.

ღონისძიების შემდეგ სოფელ ახალქალაქში ომის ვეტერანს, 99 წლის შალვა გოჩიტაშვილს ესტუმრნენ და გამარჯვების დღე მიულოცეს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ ომის ვეტერანს ადგილობრივი ბიუჯეტიდან საჩუქრად 1000 ლარი გადასცა.

ნინო ქენქაძე - კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის გიტარის შემსწავლელი და თექაზე მუშაობის უფასო წრის პედაგოგი.

ნინო 10 წელია მოსწავლეებს გიტარაზე დაკვრასა და თექაზე მუშაობას ასწავლის. ორივე წრეში 40 მოსწავლეა გაერთიანებული. ნინო და მისი მოსწავლეები თავისი ნამუშევრებით არა მარტო მუნიციპალიტეტის, არამედ შიდა ქართლის ღონისძიებებზეც იღებენ სისტემატურ მონაწილეობას.

რამდენიმე დღის წინ, გიტარის წრის მოსწავლეებმა, მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ეზოში წლის შემაჯამებელი, მეათე გამოსაშვები საღამო გამართეს.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში კერძო და მუნიციპალური სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლებისა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების ხელშეწყობა - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა 10 000 ლარის დაფინანსება მოიპოვა.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის დაფინანსების დროს გათვალისწინებული იყო ნინოს და მისი მოსწავლეების მიერ თექაზე შესრულებული ნამუშევრები და სამომავლო გეგმები. აღნიშნული თანხით შეძენილი ტექნიკით გაუმჯობესდება თექასა და

ხელნაკეთი ნივთების დამზადების წრეების მუშაობა.

გენდერული ცნობიერების ამაღლება სკოლის ასაკიდან უნდა დაიწყოს

კასპის ტექნოპარკში კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან საქართველოს პარლამენტის და პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს წევრმა, მარიამ ლაშხმა შეხვედრა გამართა.

პარლამენტის წევრი მოსწავლეებს ესაუბრა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს შესახებ და გააცნო საბჭოს მთავარი ფუნქციები.

როგორც მარიამ ლაშხმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია გენდერული ცნობიერების ამაღლება სკოლის ასაკიდან დაიწყოს, რათა ადრეული ასაკიდანვე მოხდეს მათი ჩამოყალიბება და ფორმირება.

შეხვედრაზე მოსწავლეებს ასევე ესაუბრნენ თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ონლაინგანათლებასა და ელექტრონული სწავლების პლატფორმებზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

იცნობდეთ

დალი კოკბეტიშვილი - ქალაქ კასპის №4 საბავშვო ბაღის გამგე, 46 თაობის აღმზრდელი.

საბავშვო ბაღის დაარსებიდან დღემდე, 46 წელია, წარმატებით ხელმძღვანელობს საადმზრდელო დაწესებულებას, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ბაღია კასპის მუნიციპალიტეტში.

მისი ხელმძღვანელობითა და თანამშრომლების მხარდაჭერით საბავშვო ბაღში სასიამოვნო გარემოა შექმნილი. როგორც ამბობენ, მათთვის საბავშვო ბაღი მეორე ოჯახია, აღსაზრდელები კი საკუთარ შვილებად მიაჩნიათ.

დღეს საბავშვო ბაღში უკვე აღზრდილების შვილები და შვილიშვილებიც სწავლობენ. მინიჭებული აქვს წარჩინებული მასწავლებლის წოდება. ახლახან საბავშვო ბაღს გახსნიდან 46 წელი შეუსრულდა.

ტატო ბეჟიტაშვილი - წარმატებული მაგისტრანტი

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული სტიპენდია, რომელიც პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელს ატარებს, უკვე მეექვსედ მიიღო.

ტატო ბეჟიტაშვილი:

- ჩემთვის ამ სტიპენდიას ორმაგი დატვირთვა აქვს: პირველ რიგში დიდი პატივია, ვიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირის და ღირსეული კასპელის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტი.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ამგვარი სტიპენდიები ნაკლებადაა პოპულარული და ამ მხრივ კასპის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში. ეს არის დიდი მოტივაცია, რომელიც მიბიძგებს, ვისწავლო უმაღლეს დონეზე და ბოლოს ვიტყოდი, რომ ახალგაზრდების განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ქვეყნის ნათელი მომავლის საწინდარია!

მან გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სოფელ სასირეთის საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა.

100%-ანი დაფინანსებით ჩაირიცხა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან პროგრამაზე, რომელიც ასევე წარმატებით დაასრულა.

ამჟამად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურის ინგლისურენოვანი პროგრამის მეორე კურსის კვლავ წარმატებული მაგისტრანტია.

2022 წლიდან დღემდე, უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებში რეგულარულად აქვეყნებს ანალიტიკურ ნაშრომებს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე. აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ბიბლიოთეკების ისტორიის ფურცლები

28 აპრილს კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა სახელწოდებით "კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების ისტორიის ფურცლები".

ამ ღონისძიებით გაიხსნა საბიბლიოთეკო კვირეული და მიეძღვნა ბიბლიოთეკარის დღეს, რომელიც 30 აპრილს აღინიშნება.

გამოფენა მომზადდა შ/საქმეთა სამინისტროს არქივის განყოფილების უფროსის, ჩვენი თანაქალაქელის და კასპის მუნიციპალიტეტის წარსულისა და აწმყოს მკვლევარის, ვანო ჯახუას მიერ, კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით.

საინტერესოდ დაკაბადონებული ბანერებით წარმოდგენილი გახლდათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნული არქივის საისტორიო არქივში დაცული ის საარქივო დოკუმენტები და საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც მოგვითხრობენ XIX-საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში კასპის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ. დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდა ქვათახევის მონასტრის წიგნთსაცავის,



სოფლების: ხოვლის, კავთისხევის, ახალქალაქის, ქვემო ჭალის, მეტეხის, ერთაწმინდის, წინარეხისა და კასპის სასოფლო ბიბლიოთეკების შესახებ.

საარქივო დოკუმენტების წყალობით საზოგადოებამ რამდენიმე საინტერესო ფაქტის შესახებ პირველადი ინფორმაცია მიიღო.

გამოფენა - საუბარი წარმართა გაერთიანების დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა.

ღონისძიებას ესწრებიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე; მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე; გაერთიანების თანამშრომლები; საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლეები.

იყო ბევრი სამადლობელი სიტყვა ვანო ჯახუას მისამართით, რომელიც არ იშურებს საკუთარ ძალებს, დროს, რომ მოიძიოს და შთამომავლობას შეუნახოს დოკუმენტებზე დაყრდნობილი უტყუარი მასალა კასპის მუნიციპალიტეტის ისტორიის შესახებ.

მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერმა ხათუნა ბახუაშვილმა გაერთიანების სახელით ბიბლიოთეკარის დღე მიულოცა და სიგელებით დააჯილდოვა ამაგდარი ბიბლიოთეკარები.

თუ ყველი გინდიერია, ანუ ჯვილომოქმედთან ერთად

ჯამბაკურ ორბელიანთა სასახლე ისტორიულად კულტურული ცენტრია, სწორედ აქ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი შეხვედრები, კულტურული თუ შემეცნებითი ღონისძიებები. დღეს აქ რა ხდება? ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ანასტასია ლალიაშვილი პარიზის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტია. არდადეგებზე სამშობლოში მყოფი ლამისყანას სტუმრობს, სოფლის ისტორიით ინტერესდება. იცის, ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში რემონტია, თანამშრომლები მუშაობას სკოლის შენობაში აგრძელებენ. ანასტასიამ მათ საკუთარი სურვილი, იდეა გააცნო: "სკოლაში გამოვაცხადოთ კონკურსი, მასში მონაწილე თითოეულმა მოსწავლემ წარმოადგინოს ეროვნულ-პატრიოტულ მოტივზე დაწერილი თავისუფალი თემა სოფლის ისტორიასთან კავშირში".

მუზეუმის თანამშრომლებმა ანასტასიას იდეა მოიწონეს და აღუთქვეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

აი, სპონსორობა კი ბატონ გიორგი ლალიაშვილს "დაევალა" ქალიშვილისგან;

ლამისყანელებს სამი წლის წინ გაეცნო ბატონი გიორგი ლალიაშვილი. იგი "ლამისყანის მამულების" დამფუძნებელია. ვაზის სიყვარულმა დააახლოვა სოფელს, აქ შეიძინა მამულები და დაიწყო კარგად ცნობილი თუ ლამის დავიწყებასმიცემული ვაზის ჯიშების გაშენება. დაასაქმა ადგილობრივები.

გაცნობისთანავე დაუმეგობრდა მუზეუმს; არაერთი საინტერესო იდეა შესთავაზა თანამშრომლებს. მუზეუმის მოხალისე პატარა მოსწავლეებიც გაიცნო და საშობაო საჩუქრებითაც გაახარა ისინი.

სოფლის ახალგაზრდებს გვერდში დაუდგა ტრადიციადქცეული ჭიდაობის მოწყობა-ჩატარებაში.

დედაქალაქიდან სოფელში ჩამოიყვანა ექიმთა ჯგუფი, მათ უფასო კონსულტაცია და საჭირო სამედიცინო მომსახურება გაუწიეს ყველა მსურველს.

ბატონი გიორგი ლალიაშვილის ინიციატივით, სოფელს ესტუმრა ექიმი ფსიქოლოგი, ქალბატონი თამარ კეშელავა, შეხვედრაზე მისული დამსწრე საზოგადოება ინტერესით უსმენდა და არაერთი შეკითხვა დაუსვა, რასაც ექიმი ამომწურავად პასუხობდა. იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ფსიქოლოგთან შეხვედრა, რომ დასრულების შემდეგაც დარბაზში კარგახანს გაგრძელდა დამსწრეთა შორის აზრთა გაზიარება...

სწორედ ბატონი გიორგი ლალიაშვილის თანადგომით კონკურსში გამარჯვებულ სამ მოსწავლეს გადაეცა ერთჯერადი "სტიპენდია".

სკოლის დირექტორი, ქალბატონი დარეჯან ჭიხინაშვილი მიესალმა ამ წამოწყებას და პედკოლექტივთან შეთანხმებით გადაწყდა, კონკურსი გამოცხადებულიყო IX–XI კლასების მოსწავლეთათვის. მონაწილეობის სურვილი ათმა მოსწავლემ გამოთქვა. ესენი არიან: მეცხრეკლასელები: იმერლიშვილი ანანო, ონიაშვილი სალომე, ფავლენიშვილი გიორგი, ღვინიაშვილი ნინი, ჯამრიშვილი თემური.

მეათეკლასელები: პაიაშვილი თამარი, ტუხიაშვილი ხატია.

მეთერთმეტეკლასელები: ბეინაშვილი ოთარი, ჭიხინაშვილი თიკო, ჯამრიშვილი ანი.

კონკურსანტებს მიეცათ ზოგადი მითითება თავისუფალ თემაზე სამუშაოდ. განემარტათ, რომ თემისთვის არ მიეწერათ გვარი და სახელი, მიენიჭებინათ კოდი.

კონკურსის პირობებით განსაზღვრული დროის შემდეგ, ერთ-ერთმა მოსწავლემ შეკრიბა ათივე თემა და მუზეუმის თანამშრომლებს გადასცა. მათ წაიკითხეს თემები და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საკუთარი შეფასება მინიჭებული ქულით გამოხატეს. მათთვის ცნობილია მხოლოდ სათაური და მინიჭებული კოდი, უცნობია თემის ავტორი; ეს გაცხადდება შედეგების გამოცხადებისას.

ეს დღეც დადგა. სკოლას ესტუმრა ბატონი გიორგი ლალიაშვილი (ანასტასია ამ დროს პარიზშია).

შეჯამებული ქულების მიხედვით, სპონსორი იძახებს თემის "ისტორიული სასახლე – დღეს ნანგრევებად ქცეული" (კოდი 017) ავტორს. იგი აღმოჩნდა მეცხრეკლასელი გიორგი ფავლენიშვილი. მან ყველაზე მეტი ქულა დააგროვა და პირველი ადგილი ერგო. ბატონმა გიორგი ლალიაშვილმა იგი ხუთასი ლარით დააჯილდოვა; მეორე ადგილზე გასულ თემას სათაური არ აქვს, ვიცით მხოლოდ კოდი 0110. ამ თემის ავტორიც მეცხრეკლასელია – თემურ ჯამრიშვილი. იგი სამასი ლარით დაჯილდოვდა. მესამე ადგილი დაიკავა თემამ "ჩემი სოფელი" (კოდი 033). მისი ავტორი აღმოჩნდა მეთერთმეტეკლასელი ანი ჯამრიშვილი (თემურის და, რამაც ურწმუნონი დააეჭვა). ანის ორასი ლარი გადაეცა.

კონკურსის მონაწილე არც ერთი მოსწავლე არ დარჩა უსაჩუქროდ. ბატონმა გიორგიმ დანარჩენ შვიდს სამახსოვრო ვერცხლის ჯვრები გადასცა; უსურვა მათ წარმატებები, ესაუბრა სამომავლო გეგმებზე და დაჰპირდა მოსწავლეებს, რომ მეგობრობას გააგრძელებს. ბოლოს კი მოსწავლეები საკუთარ მამულში მიიპატიჟა ვაზის მოვლაში დანერგილი სიახლეების გასაცნობად.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორი ქალბატონი ეთერ ჩადუნელი და მისი მოადგილე თეონა ბეინაშვილი, როგორც წესი, თავიდანვე ინფორმირებული იყვნენ ლამისყანის საჯარო სკოლაში ჩასატარებელი კონკურსის შესახებ. ისინი გაერთიანების სპეციალისტებთან ნიკოლოზ ლაფერაშვილთან და თამარ ნონიაშვილთან ერთად ესტუმრნენ სკოლას, შეხვდნენ მოსწავლეებს და გაიცნეს კონკურსის მონაწილენი. მოისმინეს მათი დამუშავებული თემები.

ქალბატონმა ეთერ ჩადუნელმა მოუწონა მოსწავლეებს აქტიურობა, ესაუბრა მათ წიგნთან დამეგობრების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. მან კონკურსის მონაწილე მოსწავლეებს მათ

გაგრძელება გვ-8.

ჯაჭვილი მომღერალი ოჯახები

შესავლის მაგიერ, ანუ საკონცერტო იდეის დაბადების თაობაზე: ასეთი კონცერტის გამართვის ჩანაფიქრი, სანამ იდეად ჩამოყალიბდებოდა და განხორციელდებოდა, დროში განვრცობილი და გაწელილი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ იდეა ჩაისახა ჯერაც დაუვიწყარ თუ უკვე დავიწყებულ პანდემიერუსული 2020–21-წლებიან პერიოდში, როცა "დუმდა" მუზაც და გონიც კაცისა, ვინც არ უნდა ყოფილიყო და სადაც არა, თუნდაც კასპის დარად პატარა ქალაქში. ჰოდა, ასეთი კონცერტის გამართვის იდეა ვისგან უნდა წამოსულიყო, თუ არა შესაბამისად პროფილური სამსახურის მესვეურთაგან, თუ არა პროფესიონალი მუშაკებისაგან, ვინც არა მარტო კულტურის დარგში საქმიანობს, არამედ ტრადიციულად მღერის, დგას სცენაზე, თვითონაა მომღერალი ოჯახების დინასტიური წარმომადგენელი.

ორგანიზატორები: ისინი ორნი არიან. ისინი ერთად იდგნენ სცენაზეც. კარგ საქმეს ხომ თავი დაადგეს, კონცერტის ჩატარების დღის დანიშვნამდეც და თარიღის გამოცხადების მერეც, თვით საკონცერტო დღესაც და უკვე მიმდინარეობისას ხომ უამრავი საორგანიზაციო საკითხი გადაეწყვიტათ და დაესრულებინათ, – აი, ახლაც თვითონვე ეკისრათ კასპელი მომღერალი ოჯახების გრანდიოზული კონცერტის გაძღოლა, წარმართვა, მონაწილეთა წარდგენა და გაცნობა, მათი მოფერება იყო თუ დაჯილდოება, კონცერტის მხარდამჭერთა და თანამდგომთა მიმართ მადლიერების გამოხატვა. ასეთად, უპირველესად, უნდა დავასახელოთ კასპელი მედიცინის მუშაკი და მეოხი კაცი მამუკა ბერიძე.

თეა ხორბალაძე მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსია, მისი პატრონაჟით ჩატარდა 2023 წლის 14 მაისის საკონცერტო ღონისძიება; ზაზა მენაბდიშვილი კი მხატვრული ხელმძღვანელია ქალაქის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრისა, რომლის სცენა მისთვის ძალზე ძვირფასია, ნაცნობია, შეუცვლელია.

შემთხვევითი არაა, რომ კასპელი მომღერალი ოჯახების კონცერტი ვარდობისთვეში ჩატარდა. შუა მაისში ქართული ოჯახების სიწმინდის დღე აღინიშნება საქართველოში – უკვე მეორედ, ქართული საქრისტიანო მრევლის მწყემსმთავრის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით.

შემთხვევითი არც ის იყო, რომ კონცერტის კონფერანსიებმა, ღონისძიების მონაწილეთა გამოსვლამდე, სცენაზე უხმეს კასპელ ახალგაზრდა საეკლესიო მსახურს, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ეკლესიის მღვდელს, მამა ალექსანდრეს (გუბელაძეს).

აი, ის კი ღრმად სიმბოლური შტრიხი გახლდათ, როცა ორი ჩოხოსანი ჭაბუკი ყველა მონაწილეს, საკონცერტო ნომრების შესრულების შემდეგ, ფასიან საჩუქრებთანა და ყვავილების გვირგვინთან ერთად, გადასცემდა "ოჯახის მფარველ ხატს".

კასპელი მომღერალი ოჯახების კონცერტის მონაწილეები:

✦ ყაზარაშვილები – სამი დედმამიშვილის: ჯემალ, მანანა და გია ყაზარაშვილების სამი ოჯახური წარმომადგენლობა იდგა სცენაზე. ჯემალი და მანანა არაერთხელ გამოსულან კასპში გამართულ კონცერტებზე, გია კასპის ბენდში უკრავდა. ახლა პირველად იდგნენ მხარდამხარ თანაქალაქელების წინაშე და მათთვის იმღერეს "წუთისოფელი" და "გაზაფხული შემოსულა, ლენ"... საინტერესოა, რომ ძმები დღესაც "ფორმაში" არიან. მღერიან ორივე ძმის შვილებიც. გია დღეს კასპის ახალი ბენდის წევრია. მისი ქალიშვილი ეკა პროფესიონალი მუსიკოსია, პედაგოგობს ქ. თბილისის სიმღერისა და გალობის სასწავლებელში, ხოლო ვაჟიშვილი გიორგი პროფესიონალი დრამერია და გამოდის ქ. თბილისის სხვადასხვა ანსამბლში.

✦ გიგაურები (სოფელი ოკამი) – დედა ციური პროფესიონალი მუსიკოსია. მღეროდა საქართველოს უსინათლოთა კაპელაში. წლების განმავლობაში პედაგოგობს სოფელ ოკმის კულტურის სახლში და არაერთი თაობის თანასოფლელი ბავშვი აზიარა სიმღერის სიყვარულს. ის ამაგდარი ქალბატონია. მისი ვაჟიშვილი იოსები ამჟამად კასპის ვაჟ მომღერალთა ანსამბლ "მოურავის" წევრია. ოჯახის რძალს ია ზოდიაშვილს დამთავრებული აქვს თეატრალური უნივერსიტეტი. გიგაურების ოჯახური მუსიკალურობის გამგრძელებლად იზრდება პატარა გოგონაც, 8 წლის ბარბარე, რომელიც ახლა დიდედისა და მშობლების გვერდით წარსდგა მაყურებლის წინაშე.

✦ ხათუნა ხაჩიძის ოჯახი – ის კასპელი ტყემალაძეების ოჯახის რძალია. წარმოშობით სოფელ მუხრანიდანაა, იქაური ცნობილი მუსიკალური ოჯახის შვილი. საინტერესოა, რომ კასპში ახლა ხათუნას გვერდში ამოუდგნენ დედმამაც და, ასევე, ოთხივე შვილი. ფაქტიურად, ხაჩიძის ქალის ოჯახი ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით გამოირჩა.

✦ ხოხაშვილები – და-ძმა, მანანა და ზვიადი მრავალჯერ გამოსულან ადგილობრივ ღონისძიებებში და ლამაზი მღერით დაუტკბიათ კასპელები. სამწუხაროდ, ზვიადი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. ამჯერად მანანა გამოჩნდა სცენაზე. ცხადია, მისი ნამღერი ტკივილითა და სევდით იყო გაჟღენთილი. დამ ორივე სიმღერა საყვარელი ძმის ხსოვნას მიუძღვნა, სულთათანა აღუვლინა მის სულს.

✦ სოზიაშვილები – ორგანიზატორთა ჩანაფიქრით კიდევ ერთი მუსიკალური ოჯახის წევრი გაიხსენეს: მანანა სოზიაშვილი კასპის სამუსიკო სკოლაში პედაგოგობდა მისი დაარსების დღიდან. ის ახლახან გარდაიცვალა. კასპელი სოზიაშვილების ოჯახურ ტრიოს დედაქალაქურ ოლიმპიადებზე წარუდგენია მშობლიური ქალაქი (ეს ამბავი ერთხელ აქაურებთან საუბარში გაიხსენა უფროსმა დამ, ქალბატონმა გიულიმ), ამჯერად სცენაზე გამოჩნდა უმცროსი და – ლია, რომელმაც გულითადი მადლობა მოახსენა ყველას და, ბოლოს, სცენასაც გამოეთხოვა, – კასპის კულტსახლის სცენაზე ფეხი პირველად ექვსი წლისამ დავადგი, ახლა კი მიკროფონსაც და სცენასაც ვემშვიდობები!

✦ კელაპტრიშვილები (სოფელი კავთისხევი) – მიხეილ კელაპტრიშვილის შვილები რომ ბრწყინვალედ მღერიან, ეს მთელმა საქართველომ უწყის, ისევე, როგორც ის, თუ ვინ იყვნენ მისი მამა და ბიძა – გერისო და ომარ კელაპტრიშვილები... მოხდა ისე, რომ მიხეილმა ამ ჯერზე მარტომ წარმოადგინა თავისი დიდი საგვარეულო.

✦ უზნაძეები – დავითი პროფესიონალი მუსიკოსია, ცნობილი ლოტბარი და ფოლკლორისტი. მან დედაქალაქში არაერთი ანსამბლი ჩამოაყალიბა და უხელმძღვანელა (მათგან გამორჩეულია "ფესვები"). ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი ღვაწლისათვის დაჯილდოებულია "ღირსების ორდენით"... სოფელ სამთავისში მცხოვრები მისი წინაპრები სიმღერის ნიჭით გამოირჩეოდნენ. "ის ურჩევნია მამულსაო " – ეს უზნაძეთა ახალთაობელებზეც ითქმის: ძველების სახელოვნებო და საშემსრულებლო გენის ბრწყინვალე გამგრძელებლად გვევლინება დავითის ასული, ანანო. ის, მცირეასაკოვნობის მიუხედავად, შემდგარი ვარსკვლავია, მან უკვე დაიპყრო ქართველი მაყურებლისა და მსმენელის გული თავისი გამორჩეული ხმითა და ოსტატობით. ანანო კასპელების ნამდვილი კერპია, აქ ხშირად ჩამოდის და სიამოვნებით მღერის მათთვის.

✦ მენაბდიშვილები – სცენაზე იდგა საგვარეულო სამი თაობის წარმომადგენელი: პაპა – პროფესიონალი მუსიკოსი, მომღერალი, ლოტბარი და პედაგოგი ზაზა მენაბდიშვილი; ვაჟიშვილი – ალექსანდრე, რომელიც ბავშვობიდან მღერის პროფესიონალურ დონეზე, დღეს კი ანსამბლი "ქართლის" წევრია და აქაც მამას ეშეგირდება; და შვილიშვილი, ჯერეთ 11 წლის მარიამი. გოგონა მამა-პაპასთან ერთად მონაწილეობს კონცერტებში, კასპში კი მეორედ იმღერა. პირველად 7 წლისა გამოვიდა ერთ-

(დასასრული გვ5.).

მადლობა ლაშა ზუბიაშვილს მოწოდებული ფოტოებისათვის.

განთიადი

კასპელი მომღერალი ოჯახები

დასასრული.
ერთ საახალწლო ღონისძიებაზე.

✦ ბერიანიძეები — უმცროსი და, მარინე, ჯერაც კასპის პირველი სკოლის მოსწავლეობისას, უამრავჯერ გამოსულა სასკოლო ანსამბლში. ამჟამად ქ. წალკის ქართული საჯარო სკოლის დირექტორია. ამასთან, მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული ქალბატონი, 5 შვილის დედა გახლავთ.

უფროსი და, ნინო, პროფესიით ფილოლოგი და მუსიკოსია. ისიც მრავალშვილიანი დედაა. საკმარისია ითქვას, რომ 7 შვილიდან ორმა მიიღო უმაღლესი მუსიკალური განათლება, ოთხი კი ახლა სწავლობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში. და-ძმა კვალიაშვილები მღერიან და უკრავენ სხვადასხვა კლასიკურ ანსამბლში. მეტიც, მათ შექმნეს საოჯახო კამერული ანსამბლი, რაც იშვიათობას წარმოადგენს არა მარტო საქართველოში.

ნინო ბერიანიძე სიმღერების ავტორია, კასპში დასთან ერთად ჩამობრძანდა, ერთი საკუთარი სიმღერა შეასრულა, მეორე ნომერი კი მარინესთან ერთად იმღერა (14 მაისის საღამოსვე ისინი თბილისში ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერა "დაისის" წარმოდგენას დაესწრნენ).

✦ ბეჟიტაშვილები (სოფელი სასირეთი) — ახალგაზრდა დები, მედეა და ელენე. უფროსი პროფესიონალია და მუსიკალურ შემოქმედებას აგრძელებს, ის რამდენიმე კონკურსის გამარჯვებულია. უმცროსი ახლა იწყებს სიმღერის შესწავლას. ორივესი ფრიად ეიმედება მათ პედაგოგს, ზაზა მენაბდიშვილს, რომელმაც კასპში მათ კიდევ ერთხელ დაულოცა გზა "დიდი სიმღერისაკენ".

✦ მესროფაშვილები — ლევანის დედის მხრიდან (კასპელი შალუტაშვილი) ყველა წინაპარი მღეროდა. კასპის სცენაზე ლევანი არაერთხელ გამოსულა, როგორც ... მოცეკვავე, მაშინაც, როცა ანსამბლ "დიდგორში" გამოდიოდა (მისი პირველი თაობის წარმომადგენელია) და მერეც, როცა ძალიან მონატრებია ცეკვა "ქართულის" შესრულება. ამჯერად კი თანაქალაქელებს სიურპრიზი შესთავაზა და მომღერლის როლი მოირგო: ერთი სიმღერა კასპის ბენდის წევრებთან იმღერა, მეორე კი უფროს ქალიშვილთან ერთად (ლევანი 5 შვილის მამაა). მისი მეუღლე გახლავთ ღირსეული ქალბატონი — ქართველი დადიანებისა და ფრანგი მიურატების შთამომავალი.

✦ ზაალიშვილები — ქართველი უდიდესი მომღერალი თენგიზ ზაალიშვილი არა მარტო კასპის სიამაყეა. მას წლევანდელ სექტემბერში დაბადებიდან 95-ე წლისთავი შეუსრულდება. მშობლიური ქალაქი და რაიონი მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებს სახელოვან შვილს. მისი დაბადების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე სწორედ კასპში აღინიშნა. აქვე გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი — პირველად საქართველოში (2016 წელს)... ახლა, ასაკის კვალობაზე, პირადად ვერ მოახერხა კასპში ჩამობრძანება და ეს მისია ვაჟიშვილს დაავალა.

კასპელთა წინაშე წარმოდგა ზაზა ზაალიშვილი — მსოფლიო დონის პროფესიონალი მომღერალი (ტენორი), ქ. მონრეალის (კანადა) თეატრის წამყვანი ყოფილი სოლისტი, ვირტუოზი გიტარისტი.

✦ ხატია მამულაშვილი და კასპის ბენდი — კასპელმა ქალიშვილმა, ფრიად პერსპექტიულმა მომღერალმა ბრწყინვალედ შეასრულა სოლო ნომერი და ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის ლუჩიო დალას სიმღერა მიხეილ ქოსაშვილთან ერთად. ხატია ამჟამად ქ. გორის მუსიკალური სასწავლებლის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტია (პედაგოგ ანზორ შომახიას კლასი)... აი, რაც შეეხება კასპის კულტურის ცენტრის ამჟამინდელ მენეჯერს მიხეილ ქოსაშვილს, ის ნამდვილად უნიკალური მომღერალია. ახლა კი დრამზეც დაუკრა.

აგერ, კასპის ბენდის მუსიკოსების ვინაობაც: ჯაბა ნონიაშვილი, მიხეილ ქოსაშვილი, გიორგი ყაზარაშვილი, უჩა ზაქიაშვილი, ხატია მამულაშვილი.

დასასრულს სცენაზე მოიყარა თავი ყველა გამომსვლელმა. სადღესასწაულო ფოიერვერკის შემდეგ ერთად ყოფნის სიხარულს იზიარებდნენ კასპელები. და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ასეთი შეხვედრები ტრადიციული გახდება.

"სალამურს ენა ჩავუდგი ..."

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი) მხარეთმცოდნეობის წრემ (მასწავლებელი ნანა მერებაშვილი) კავთისხევში მოაწყო გასვლითი ღონისძიება — "სალამურის დიდოსტატი", რომელიც მიეძღვნა ხელოვანის, სალამურზე უბადლო შემსრულებლის, ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნას.

ღონისძიების მიზანი იყო, მოსწავლე-ახალგაზრდობა უკეთ გაცნობოდა მშობლიური მხარის ღირსშესანიშნაობებსა და გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება-შემოქმედებას.

გზა სიმწვანეში ჩაფლული, ძირძველი, ისტორიული კავთურის ხეობაში მიიკლაკნებოდა. მალე გამოჩნდა კავთისხეველთა საამაყო ძმების გერისო და ომარ კელაპტრიშვილების სამოსახლო.

სტუმრებს თბილი ღიმილით შეეგება ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმის მენეჯერი ქალბატონი ციმი კელაპტრიშვილი. მან მოსწავლეებს დაათვალიერებინა ხელოვანის ფოტოდოკუმენტური მასალა, დასაკრავი ინსტრუმენტები, ეროვნული სამოსი, ჯილდოები და სხვა პირადი ნივთები, ამომწურავად ესაუბრა მუსიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

მალე სტუმრებმა საგამოფენო სივრციდან კელაპტრიაანთ აივანზე გადაინაცვლეს. მათ თვალწინ სოფლის ულამაზესი ხედი გადაიშალა. ეზოკარი ახალგაზრდების ჟრიამულს მოეცვა. თვალადელი და კასპელი მოსწავლეებისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში არსებული, (ხელმძღვანელი ნანა შალიტაური) ფოლკლორული ჯგუფის გამოჩენა, რომელმაც კონცერტი მოაწყო. ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ყმაწვილებმა ლუკა და გაბრიელ მორჩილაძეებმა, ლიზი და გიორგი მაზმანიანებმა, ილია ჯანჯალაშვილმა, მათე აბულაძემ, თემო მონასელიძემ და დავით თხინვალელმა შეასრულეს პოპური ხალხურ მელოდიებზე. დოლზე დაკრულმა "ხორუმმა" დამსწრეთა დიდი მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა.

კავთისხეველთა წინაშე თავი გამოიჩინეს მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის წევრებმა: ნანა ილურიძემ, უჩა გოგოლაძემ, ბარბარე ჩარაევმა, მარიამ კახიშვილმა, მარიამ ყაზარაშვილმა, ლიზი და გიორგი ხუციშვილებმა, ლაშა ქორთიაშვილმა. მათ მხატვრულად წაიკითხეს ომარ და გერისო კელაპტრიშვილების ლექსები, ამონარიდები მათი ბიოგრაფიიდან.

მოსწავლეთა სახლის პედაგოგმა, ფილოლოგმა მანანა ყაბანაშვილმა საკუთარი ლექსი მიუძღვნა ომარ კელაპტრიშვილს, რომელიც მალე დაიბეჭდება "სალამურის დიდოსტატის" საიუბილეო გამოცემაში.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: თვალადის საჯარო სკოლის პედაგოგები ქეთევან აბუაშვილი, თამარ ნიაური და გულო ხოკერაშვილი, კასპის №4 საჯარო სკოლის პედაგოგი, ფილოლოგი გულო გიგაური, მოსწავლეთა სახლის სამოქალაქო განათლების წრის ხელმძღვანელი ქეთევან გეჯაძე, მშობლები ნონა ბარნოვი და მარიამ კანთელაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტმა ნუნუ ყიფიანმა მოსწავლეთა სახლის სახელით ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმის მენეჯერს ციმი კელაპტრიშვილს საჩუქრად გადასცა პოეტ ვაჟა ოთარაშვილის წიგნი "გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები".

ქალბატონმა ციმიმ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს და მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები სიგელებით დააჯილდოვა, მოსწავლეთა სახლის ბიბლიოთეკას კი სამახსოვროდ გადასცა "ხელოვნების ენციკლოპედია" (ორტომეული, ავტორები სოლომონ თეზელიშვილი და ომარ კელაპტრიშვილი — უმცროსი).

მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა დახმარებისა და ღონისძიების სრულყოფილად ჩატარებისათვის მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ბატონ ზურაბ კოპაძეს, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს ქალბატონ თეა ხორბალაძეს, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს ქალბატონ ლალი ჯანჯალაშვილს და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერს ქალბატონ

დასასრული გვ8.

სპორტ INFO

აპრილ-მაისის დღიურებიდან

ელგუჯა გეჯაძის ხსოვნისა

ქ. კასპის სპორტ-კომპლექსის მრავალპროფილურ დარბაზში 29 აპრილს გაიმართა მეტეხელი ელგუჯა (გუჯა) გეჯაძის (17.04.1957 – 16.01.2016) ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

მონაწილეობდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსწავლე-სპორტსმენები. სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექციის (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი, მენეჯერი ალექსანდრე ხუციშვილი) მიერ დაწესებული ჯილდოები გადაეცათ 10 წონით კატეგორიაში გამოვლენილ გამარჯვებულებსა და მეორე-მესამე ადგილებზე გასულ მოსწავლე-ჩოხოსნებს.

გაგაცნობთ ნორჩ ჩემპიონებს: დათო ნადირაშვილი (კასპი), გიორგი მანჯავიძე (ქვემო გომი), ლუკა კოშაძე (კასპი), ირაკლი რთველაძე (კასპი), თემო ოდოშაშვილი (მეტეხი), ლუკა მღებრიშვილი (მეტეხი), ნიკოლოზ ჯოღერდიშვილი (დოესი), ლუკა გულდედავა (ლამისყანა), ჯუმბერ ძამულაშვილი (დოესი) და საბა მარტიაშვილი (ქვემო გომი).

კვარცხლბეკოსანთა სამეულები დაჯილდოეს ვეტერანმა და ცნობილმა მოჭიდავეებმა: დავით ხოდელმა, იასონ იაშვილმა, დავით კოშაძემ, ნუგზარ მამულაშვილმა, ალექსანდრე ხუციშვილმა, გიორგი ბეინაშვილმა, ბადრი ჯანიაშვილმა და ოთარ ყურაშვილმა; ასევე, გაერთიანების დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილმა, შეჯიბრების ადრესატის მეგობარმა ზაზა მოსიაშვილმა და ძმისშვილმა ოთო გეჯაძემ.

12-წლამდელებმა სეზონი განაახლეს

განახლდა შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი ალექსანდრე რევაზიშვილი) 12-წლამდე ფეხბურთელთა "ქართლის ლიგის" წლევანდელი სეზონი.

კასპის ცენტრალური სტადიონის მოედანზე პირველი ტურის შეხვედრები 29 აპრილს ჩატარდა. მათში ასეთი შედეგები დაფიქსირდა: კასპის "განთიადი" – აჩაბეთის "ლიახვი" 3:0, გორის "გორი" – ქარელის "აგარა" 1:0, ქარელის "დვანი" – ხაშურის "სურამი" 4:1, ხაშურის "ივერია - 2" – ქარელის "ბრეთი" 8:0 (მატჩები იმსაჯა კასპელმა ზაურ დადიანიძემ).

მეორე ტურის თამაში კასპის "განთიადის" ბიჭებმა 6 მაისს ხაშურის "ივერიას" ცენტრალურ სტადიონზე ჩაატარეს. მალხაზ ჯალალის შეგირდებმა, მისი ჩათვლით მაისის ოთხივე მატჩში გაიმარჯვეს.

ყოჩაღ, ყმაწვილო განთიადელებო!

მოსწავლეთა პირველობის პრიზიორი

კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების მოსწავლე-სპორტსმენი ისაკ ბაშარული საქართველოს პირველობის მესამე პრიზიორია: ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ეგიდით ახლახან დაბა სტეფანწმინდაში გამართული საქართველოს პირველობაზე (თავისუფალ ჭიდაობაში) 15-წლამდელთა შორის ჩვენმა ბიჭმა საფინალო ზღურბლთან წაიფორხილა და მესამე ადგილზე დარჩა. ისაკი 41 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოვიდა. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დადგომა მისალოცი საქმეა, ეს ხომ ქვეყნის პირველობაზე მოხდა. მანამდე კი წელს რამდენიმე ტურნირში გამოიჩინა თავი (მაგალითად, გაიმარჯვა ქ. ბოლნისში, პრიზიორი გახდა "ლერი ხაბელოვის კლუბის" შეჯიბრებაში).

ყმაწვილკაცი მოჭიდავის ასეთი სტაბილურობა მისთვის ხომ თავისებური სტიმულატორია და მეტი გამარჯვების მიღწევისათვის განაწყობს პირად მწვრთნელსაც, მერაბ ბუნტურს.

მედლები ბულგარული კრანევოდან

2023 წლის 28-30 აპრილს ბულგარეთის ქ. კრანევოში გამართულ ევროპის პირველობაზე შოტოკან-კარატეში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან წარგზავნილი სპორტსმენები: მარიამ მანძულაშვილი და ლანა დავითაშვილი.

მათ სამივე სინჯის მედლები მოიპოვეს პირად და გუნდურ ჩათვლაში: 16–17-წლიანთა შორის მოასპარეზე მარიამმა – ოქროს 2 მედალი საკუთრივ და ერთიც, ვერცხლისა, გუნდური მეორე ადგილის დაკავებისათვის (საქართველოს ნაკრების სახელით კუმიტეში ვიცე-ჩემპიონები მასთან ერთად გახდნენ ლიკა ფირცხალავა და ნიკოლე დემურიშვილი); 12–13-წლიანებიდან არც ლანას პირადული მონაგარი დაიწუნება, მანაც 2 მედალი ირგუნა, ბრინჯაო-ვერცხლისა.

კრანევოში ევროპის პირველობაზე კასპელების წარმატებული გამოსვლა დააგვირგვინა თვითონ მათმა მწვრთნელმა, კასპის ტაეკვონდო–კარატე-დოს კლუბის პრეზიდენტმა ალექსანდრე მანძულაშვილმა. მან 41-46-წლიანთა ასაკობრივ კატეგორიაში მოსინჯა შესაძლებლობები და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარმა ააფრიალა საქართველოს დროშა.

უმცროსი ხიზამბარელის საჩუქარი

(ვერცხლის მედალი "ქუთაისქალაქობიდან")

ალეკო ხიზამბარელი 15 წლის მოჭიდავეა. ის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა. მეტეხის საჭიდაო სკოლაში დაემოწაფა მის თავკაცს, ნუგზარ მამულაშვილს. ახლა მისი პირადი მწვრთნელი უმცროსი მამულაშვილია – იოსები. ალეკო უფროსი ძმის კვალზე მოდის, 17 წლის გიორგი ხიზამბარელი შარშან, 2022 წლის ოქტომბერში, ქ. თბილისში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში. ასე რომ, ვის უნდა მიბაძოს უმცროსმა ხიზამბარელმა, თუ არა თავის უფროს ძმას, ისინი ხომ ქართული ისტორიული საჭიდაო გვარის წარმომადგენლები არიან.

ალეკომ ახლახან კიდევ ერთი სპორტული ჯილდოთი შეავსო ოჯახური საჭიდაო პრიზების კოლექცია: მან ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა 2 მაისს ქ. ქუთაისში გამართული სადღესასწაულო სპორტულ ღონისძიებაში, რომელიც ჩატარდა "ქუთაისქალაქობის" საჩვენებელი პროგრამის ფარგლებში და მიეძღვნა ლეგენდარული მოჭიდავის, კოლია ქვარიანის, ხსოვნას. მტკვრისპირელმა ჭაბუკმა რიონისპირა ქალაქში 55 კილოგრამამდე მოასპარეზეთა შორის მხოლოდ საფინალო ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალთან ერთად თასითა და დიპლომით დაჯილდოვდა.

P.S. მაისის მეორე ნახევარში კასპელი სპორტსმენების წარმატებებზე შემდეგ ნომერში გიამბობთ.

„გენერალი„ წელსაც არ ხუმრობს ...

კასპის "გენერალმა" 2022 წელს "მასტერლიგის" შიდა ქართლის მხარის პირველობაზე უპირობოდ გაიმარჯვა. ამის შემდეგ გადაერთო აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონატზე და ამ "ფრონტზეც" გაჩემპიონდა. თანაც, როგორ: გათამაშების მსვლელობისას მისი რამდენიმე მოთამაშე სახელდებოდა ტურისა თუ თვის სიმბოლურ ნაკრებში, საბოლოოდ კი, გათამაშების შედეგების გათვალისწინებით, მთლიანი გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელებად დასახელდნენ: გუნდის მეკარე გიორგი გუმბერიძე, კაპიტანი ონისე ონიაშვილი, ხოლო საუკეთესო მწვრთნელად – ზაზა ჯალალი. ცხადია, სამივე მოხვდა "მასტერლიგის" 2022 წლის გათამაშების სიმბოლურ ნაკრებში, რომელიც სპეციალურმა ჟიურიმ შეადგინა (ლიგის პრეზიდენტის აკაკი ხლაბუსტოვის ხელმძღვანელობით).

2023 წლისათვის "გენერალი" გამოდის დედაქალაქის ეშელონში, ანუ, უფრო ძლიერ დონეზე, სადაც 3 ჯგუფია. "ბეთლაივ მასტერლიგის" მიმდინარე პირველობის მონაწილეებმა უკვე გამართეს რამდენიმე ტური. "ა" ჯგუფში ჩართული "გენერალი", როგორც ჩანს, არც ვეტერანი და ცნობილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ თბილისურ გუნდ-ფავორიტებს უფრთხის. აგერ, შედეგებიც: 22 აპრილს "ოლდ სთარსი" დაამარცხა 6:1, 29 აპრილს – "კატევე ჯგუფი" 9:1, 6 მაისს – "რაბონა" 5:2, 13 მაისს - "ანაგი სამშენებლო" 4:1, 20 მაისს კი "ფესვები 6:0. ამრიგად: 5 მატჩი - 5 გამარჯვება, ბურთები 30:5-ზე და 15 ქულა! ამასთან, მეორე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს ონისე ონიაშვილი, მესამის თავკაცად გამოარჩიეს ზაზა ჯალალი, მეოთხე ტურის სიმბოლურში დასახელდა ლევან გამხიტაშვილი, ხოლო მეხუთისა თემურ ზარქუა.

პერსონა ზღაპრული სამყაროდან

წლევანდელი მაისის დასაწყისში ქ. გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში პარტია "ქართული ოცნების" ქალთა საბჭოს ორგანიზებით შიდა ქართლის წარმომადგენლობამ დააჯილდოვა მხარის ოთხივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, წარმატებული ქალბატონები – პედაგოგები, ექიმები, ხელოვანები, სპორტსმენი მწვრთნელები, სოციალური სფეროს მუშაკები.

კასპიდან დაჯილდოებულთა, ანუ ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომითი საქმიანობისათვის გამორჩეულთა შორის აღმოჩნდა შვიდი ქალბატონი. მათში ორია ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენელი – სოფელ ეზატის საბავშვო ბაღის აღმზრდელი მანანა იაშვილი და ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაღის აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი.

მათ შესახებ არაერთხელ თქმულა გაზეთის ფურცლებიდან, მაგრამ კიდევ ერთხელ გვსურს, ვისარგებლოთ მათი პროფესიული და პერსონალური წახალისების ფაქტით, მივულოცოთ "პერსონა გრატად" აღიარება და ამჯერად უფრო ახლოს გაგაცნოთ კასპელი აღმზრდელის საქმიანობა, ოდნავი მოგვიანებით კი მისი კავთურისხეობელი კოლეგისა.

***

ქალბატონი ნანა დალაქიშვილი მოკრძალებული რესპოდენტი აღმოჩნდა. არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი და მორჩა! დაჟინების შემდეგ, სხვანაირად რახან არ ეგების, შეუძლია, თავისი 36-წლიანი მუშაობის სტაჟისა და გამოცდილების თაობაზე სათქმელი დასტიოს თაბახის ფურცლის გვერდნახევარზე, ეგაა და ეგ!

მოვუსმინოთ მას:

ნანა დალაქიშვილი – ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაღის აღმზრდელი:

– 1987 წელს დავამთავრე ქ. თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი. ის-ის იყო, ქალაქის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში გამოცხადდა ვაკანსია. გამიმართლა, აღმოვჩნდი ჩემთვის სასურველ სამყაროში. ჰოდა, დღემდე ვმუშაობ. მაქვს 36-წლიანი გამოცდილება.

ეს ის ადგილია, სადაც ჩემი პატარებისა და პირადად ჩემთვისაც სასიამოვნო გარემოა შექმნილი. საბავშვო ბაღი ჩემთვის მეორე დიდი ოჯახია. ყოველ დილით, როგორც მზის ამოსვლას, ისე ველოდები ბავშვებთან შეხვედრას. მათ ჩემით უხარიათ და მე მათით. დღეს მყავს ბავშვები, რომლებიც ჩემი ყოფილი აღსაზრდელების (აღზრდილების) შვილები არიან. ბევრი ვერ წარმოიდგენს, ასეთი ფაქტი რამდენად სასიამოვნო სტიმულატორია ჩემთვის.

აღმზრდელობა საკმაოდ საპასუხისმგებლო პროფესიაა. იზრუნო თანაქალაქელების შვილების სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე, მორალურ და პიროვნულ აღზრდასა და ჩამოყალიბებაზე – ეს დიდი მისიაა! აღმზრდელად მაშინ შედგები, თუ თითოეულ აღსაზრდელს ისევე უნერგავ მშობლებისა და უფროსების პატივისცემას, მეგობრობის გრძნობას, სამშობლოსა და უფლის სიყვარულს, როგორადაც საკუთარ შვილებს.

... მერე, როცა დრო გადის და მავანი მშობელი მადლიერებას გამოხატავს, აი, მაშინ ნამდვილად ბედნიერი ვარ. ცხადია, უფრო მოტივირებულიც ვხდები.

აბა, სხვა რა ვთქვა... არაერთხელ ვმონაწილეობდი სხვადასხვა სასწავლო-თეორიული ხასიათის შეკრებაში, კვალიფიკაციისა და ცოდნის გადასამზადებელ და ასამაღლებელ კურსებზე... განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის 2004 წელს გადმომეცა საპატიო დიპლომი, 2015 წელს მერგო "საუკეთესო აღმზრდელის" წოდება. აგერ, ახლახან, როგორც "2023 წლის პერსონას", გამომიცხადეს მადლობა...

რეზიუმეს სახით, ჩემს თავზე, ასე ვიტყვი: – ყველაზე მთავარი, თუ აქამდე როგორ მოვედი, ისაა, რომ მქონდა ძალიან ლამაზი და ლაღი ბავშვობა. მინდოდა, მუდამ დავრჩენილიყავი ბავშვების გარემოში, მათებურ სამყაროში. მე ეს შევძელი, ვარ იქ, სადაც ყოფნა მსურდა!

***

ახლა მის კოლეგებსაც მოვუსმინოთ:

თამარ ხოკრიშვილი – ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაღის გამგე:

– ადრეულ ასაკში ბავშვისადმი სათანადო დამოკიდებულება და ზოგადი უნარების განვითარება განაპირობებს მომავალში მისი პიროვნების ჩამოყალიბებისა და ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური მდგომარეობის ფორმირებას.

კასპის მეორე ბაგა-ბაღში ვმუშაობ 2013 წლიდან. ჩემი ყურადღება აქ მოსვლის პირველივე დღიდან მიიქცია ჩვენი ბაღის აღმზრდელმა ქალბატონმა ნანა დალაქიშვილმა. რითი? – თავისი ორგანიზებულობით, პატარებთან კომუნიკაციის საოცარი უნარით, მდიდარი ფანტაზიით, იუმორით, წესრიგიანობით. ამიტომ მას ჩაბარდა სასკოლო ასაკის ჯგუფი. გაამართლა კიდეც ჩემმა ჩანაფიქრმა. მადლიერი მშობლები არ ივიწყებენ ნანა მასწავლებლის ამაგს. ჩვენი ყოფილი აღსაზრდელების – ამჟამად სკოლის მოსწავლეების – პედაგოგები ყოველთვის აღნიშნავენ, რომ "ნანას ჯგუფიდან" სკოლაში მისული ბავშვები გამოირჩევიან ცოდნითა და წესრიგით, თითოეული მათგანი მატარებელია ყველა იმ უნარ-ჩვევისა, რაც უნდა გააჩნდეს სასკოლო ასაკის ბავშვს.

დიახ, ასეა. კასპელი არაერთი თაობის მოზარდთა განვითარებასა და ზოგადი უნარების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენმა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა. მიუხედავად პირადი ცხოვრებისეული ტრაგედიისა, ქალბატონი ნანა აგრძელებს აღმზრდელობით პროცესს მისთვის ჩვეულ რეჟიმში. მისი ორგანიზებით ჩატარებული ყველა ღონისძიება სასიამოვნო სანახავი და დაუვიწყარია.

დიახ, ვადასტურებ, რომ ნანა დალაქიშვილის აღსაზრდელები იძენენ ისეთ უნარებს, რომლებიც ბავშვებს ეხმარება სკოლასთან ადაპტირებასა და სასკოლო მასალის ადვილად დაძლევაში. ამიტომ ყოველთვის მეიმედება ჩვენი ნანა მასწავლებელი.

***

მარინა დალაქიშვილი – ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი:

ამ კოლექტივში 2001 წლიდან ვმუშაობ და დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ ჩვენი ნანა მასწავლებელი ძალიან მოტივირებული, ენერგიული პედაგოგი და აღმზრდელია. მას, ალბათ, საკუთარ თავზე მეტადაც უყვარს ბავშვები და თავისი სპეციალობა.

ის მუდამ ცდილობს, რომ აღსაზრდელებს ბაღის კედლებში გატარებული ყოველი დღე საინტერესო და მხიარული აქტივობებით გაუმდიდროს. ამაში ნამდვილად ეხმარება საკუთარი გამოცდილება და სიახლეების ძიების სურვილი, არის კოლეგიალური და მშობლებთანაც კარგი ურთიერთობების მქონე. ის ბავშვებს თავის სიყვარულს აფრქვევს. ამიტომ მათაც ძალიან უყვართ აღმზრდელი და საბავშვო ბაღში ხალისით მოიჩქარიან მასთან შესახვედრად.

***

ეკა ქარჩავა – ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღის მეთოდისტი:

– ბევრი თქმულა და ბევრიც ითქმება აღმზრდელის პროფესიაზე. ყველას ჩვენებურად გვესმის მისი ფუნქცია და მოვალეობა, მაგრამ ვთანხმდებით მთავარ საკითხზე: აღმზრდელი უნდა იყოს, უპირველესად, სამართლიანი და ობიექტური. დიახ, იყო ყველა "პროფესიის დედა–მშობელი", ანუ ასწავლიდე მომავალ ექიმს, იურისტს, ინჟინერს, პოლიტიკოსს და ა. შ, ეს არა მარტო პასუხისმგებლობა, არამედ უფლისაგან კურთხეული საქმეა!. დალოცვილია ყველა აღმზრდელი, ყველა პედაგოგი, ვისაც ერთი აგური დაუდვია და მომავალი უშენებია, მომავალი თაობის აღზრდაზე უფიქრია, სიძნელეებითა და პრობლემებით აღსავსე გზა გაუთელავს და არ გაჩერებულა!

ასეა, აღმზრდელ-პედაგოგობა თითქოს მუდმივად გაბრუნებს ბავშვობაში და მარადმწვანე ხდები... "თავად უნდა იყო მზე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ გაცისკროვნება" – სწორედ ასეთია ჩვენი ბაღის დამსახურებული აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი. მიუხედავად მრავალწლიანი გამოცდილებისა, მუდმივად ვითარდება, აღსაზრდელის პოზიციიდან უყურებს სამყაროს. ასეთ დროს მათ შორის ასაკობრივი ბარიერი ქრება. მათთვის ცხოვრების ხიდია, რადგანაც თითოეულს აღიქვამს თანატოლად.

მისთვის გამოწვევაა ყოველი ახალი სასწავლო წელი და ამიტომ ინარჩუნებს ყოველთვის ენერგიას, ენთუზიაზმს, შრომისმოყვარეობას.

2023 წლის 14 ივნისს ის კვლავაც დიდი სიყვარულით გააცილებს ბაღის უფროსი ასაკის ჯგუფს და გზას დაულოცავს სკოლისაკენ.

თუ ყური გონიერია, ანუ ქველმოქმედთან ერთად

დასასრული. დასაწყისი გვ3.

თვის სპეციალურად დამზადებული სამახსოვრო სიგელები გადასცა.

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა დარეჯან ჭიხინაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის, მოსწავლეებთან გულთბილი შეხვედრისა და საინტერესო საუბრისათვის; თავის მხრივ, მან დაასაბუთა სკოლასა და მუზეუმს შორის მემორანდუმის გაფორმების აუცილებლობა, რაც გააქტიურებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას და მასში მოსწავლეთა ჩართულობას.

სოფიო ცუცუნაშვილი—ფავლენიშვილი.

“ფრთიანი ფრაზები”

ბავშვობაში ნათქვამი “ფრთიანი ფრაზები” დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ “ოქროს ფონდში,” თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში “კეხურა” და გახდით რუბრიკის სტუმარი.

,,სალამურს ენა ჩავუდგი,,

(დასასრული. დასაწყისი გვ5.)

ლელა პეტრიაშვილს, რომლებიც მუდამ გვერდში უდგანან პედაგოგებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

შთამბეჭდავი და დაუვიწყარი დღისათვის მადლობა მოახსენეს ქალბატონ ციმი კელაპტრიშვილს და ქალბატონ ნანა შალიტაურს და იმედი გამოითქვა, რომ მომავალში მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდება თვალადელ და კასპელ მოსწავლეთა შორის.

მასპინძლებთან დამშვიდობების შემდეგ ექსკურსია თვალადში გაგრძელდა, სადაც მოსწავლეებმა ნახეს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შატბერაშვილის სახლი, სოფელ კავთისხევში კი ყვავილებით შეამკეს მისი ბიუსტი.

იცნობდით

გაიცანით ბაკალავრიატის IV კურსის წარმატებული სტუდენტი ლალი ოსიყმიშვილი.

ოქროს მედალზე დაამთავრა ქალაქის №1 საჯარო სკოლა. 100%-ანი სახელმწიფო გრანტით სწავლა განაგრძო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, ინგლისურენოვან პროგრამაზე. მუნიციპალიტეტში ეროვნულ გამოცდებში ქართულში და ზოგად უნარებში ყველაზე მაღალი ქულის მიღებისთვის მერიისგან გადაეცა ფულადი ჯილდო.

უნივერსიტეტში პირველი კურსიდან დღემდე დანიშნული აქვს ყოველთვიური სტიპენდია. 2022 წელს, ხუთ თანაკურსელთან ერთად, მონაწილეობდა საქართველოს ბანკისა და TBCS Consulting-ის მიერ ორგანიზებულ კონკურსში, მათ ჰარვარდის ბიზნეს ქეისების ამოხსნის ყველა ეტაპი წარმატებით გადალახეს, დაიკავეს მეორე ადგილი, რომლის საპრიზო ფონდი 6 000 ლარს შეადგენდა.

4 წლის განმავლობაში მეხუთედ გახდა კასპის მერიის მიერ დაწესებული პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიის მფლობელი. ამჟამად სწავლობს ბაკალავრიატის მეოთხე კურსზე, ფინანსების ინგლისურენოვან პროგრამაზე და იმავე პროფესიით მუშაობს დიდი ოთხეულის ერთ-ერთ საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიაში Ernst&Young, სადაც გადის სტაჟირებას და გეგმავს სამომავლო კარიერის გაგრძელებასაც.

თეზში კვირაცხოვლობას

(დასასრული. დასაწყისი პირველ გვერდზე.)

გამოწვევაა სხვა სოფლებში მცხოვრებთათვის: აბა, კიდევ სად არიან ენთუზიასტები, ქართული ჭიდაობის გულანთებული მოყვარულები? სოფელ თეზის კვირაცხოვლის ეკლესია წამომართულია სასაფლაოს მაღლობზე და მედიდურად გადაჰყურებს ქსნის ხეობის სანახებს. ჩამოდაბლებულზე, რამდენიმე საუკუნის მუხისა და მრავალწლიანი აკაკის ხის მიმდებარე მცირე მდელოზე გაწყობილ ბუნებრივ საჭიდაო წრეში 14-15 წლის ყმაწვილკაცებმა იმგვარი ფიცხელი ორთაბრძოლები გამართეს, თქვენი მოწონებული!

აი, ისინი, თეზში გამართული მუნიციპალური ღია პირველობის სხვათა მჯობნი: საბა ნატროშვილი (სოფელი ქვემო გომი), ოთარ ქოთოლაშვილი (თეზი), გოგა ჭიხინაშვილი (ლამისყანა), თამაზ ქოთოლაშვილი (თეზი), არსენა დვალიშვილი (კასპი), ნიკო ჩერქეზიშვილი (ბოჟამი), გიგა ხრიკული (თეზი), გიორგი ოქრუაშვილი (წილკანი), ჯუმბერ ძამულაშვილი (დოესი), საბა მარტიაშვილი (ქვემო გომი).

ხსოვნა

ნანი მერებაშვილი-მოსიაშვილი

ნანი დეიდა, დიდებულო ქალბატონო! როგორ მოგვანატრე თავი...

ხშირად გვისაუბრია, რომ ცხოვრება მოკლეა, წუთის სოფელია, წილხვედრ სიკვდილსაც ვერავინ გაქცევია და მაინც, როგორ ცხადადაც არ უნდა დაინახო, განჭვრიტო თუ გააცნობიერო, მაინც უძნელესია საყვარელი ადამიანის გარდაცვალება...

გოგიტას მერე თითქოს გამოხედვაც შეგეცვალათ, იმდენი სევდა დაიტია თქვენმა თვალებმა... და ვერავინ გშველოდით... თითქოს სიკვდილი გეჩქარებოდათ.

თქვენი სააქაოდან გასვლის ორი წლისთავზე უკვე დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ როგორ დაგვაკლდით, როგორ გვენატრება თქვენთან გატარებული საღამოები, თქვენი დადებითი ფიქრები და დღენიადაგი ზრუნვა.

როგორი ბრძნად მეტყველიც არ უნდა იყო, თითქოს ხელიდან გისხლტება მთავარი სათქმელი ან რა სახელდება შეიძლება მოუძებნო მონატრებას. სიკვდილი დასასრულია იმ ყველაფრისა, რასაც ჩვენ ამ სამყაროში აღვიქვამთ. ამიტომ, როგორიც არ უნდა ჩანდეს სიკვდილი ჩვენს თვალში, ის მაინც სამყაროს ყველაზე გამორჩეული მოვლენაა.

ღმერთმა ნათელი არ მოაკლოს თქვენს სულს და განისვენეთ იქ, “სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი”...

ნანა მერებაშვილი.

იზო დემეტრაშვილი—ბახუაშვილი



ჩემო იზო, ორმოცი დღე გავიდა შენი სააქაოდან გასვლისა.

როგორი თბილი, სულგრძელი, ღიმილიანი ადამიანი იყავი, ერთი საწყენი სიტყვაც არ ახსოვს შენგან ვინმეს, მხოლოდ ძარღვიანი ქართულით აგრძნობინებდი შენს კეთილშობილებას, შენს ადამიანურ თვისებებს გარშემომყოფთ.

გვენატრები ...

გვენატრება შენი გულგადახსნილი მასპინძლობა, დიასახლისობა, შრომისმოყვარეობა, არაფრისგან შექმენი ქართული ტრადიციებით მდიდარი ოჯახი, შენი შვილები და შვილიშვილები გაგრძელებაა წარსულის განახლებული ფესვებისა. გიყვარდა სიცოცხლე და ეფერებოდი ოჯახს, ყვავილებით ამშვენიერებდი ეზო-კარს, თანაგრძნობა და ქველმოქმედება არ იყო შენთვის უცხო და ამიტომაც დათესე სიყვარული, დაიმსახურე მთავრობის უმაღლესი ჯილდო “ღირსების ორდენი”, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო შენთვის იყო ერთგული მეუღლე, აწ განსვენებული ჯემალი და შენი ნაამაგარი მომავალი. გული ასმაგად ივსებოდა კეთილი სულის მონაბერი ნიავით, როს შვილების წარმატებებს გამცნობდა ...

არ ველოდი შენს სიკვდილს ...

კეთილი იყოს შენი ზეციური ამაღლება აწ და მარადის!

ყაბანაშვილების ოჯახი.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76